2013 წლის 19 დეკემბერი

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

19 დეკემბერი, 2013 წ

ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" მისამართი:

ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ 36.

სხდომის დაწყების დრო 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), ცისმარი ონიანი, როინ მიგრიაული, მამუკა ნოზაძე, ზურაბ როსტიაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, გიორგი თევზაძე, ბონდო ალასანია, დავით ლანჩავა, დათუნა მოდებაძე, დავით ასათიანი.

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრიანება;
2. აღმასრულებელი საბჭოს წევრებს შორის საკურატორო მიმართულებების განაწილებაზე მსჯელობა;
3. რუსუდან მაღრაძის განცხადების განხილვა;
4. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების გასაჩივრების ბარიერის დაწევა;
5. ადვოკატთა სოციალური დაცვის ფონდის გამგეობის შემადგენლობაში ცვლილების შეტანა
6. საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, **21²** მუხლის, 1 პუნქტის, "ა" ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ ადვოკატთა პირადი განცხადებების განხილვა (**გულნაზ ზუხბაია, ნინო ესანჯია, ალუდა საღინაძე, ირინა დევსურაშვილი, ლია კოდელაშვილი, ბესიკ კუპრაშვილი, ბესარიონ აბაშიძე).**

დღის წესრიგის აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობის შედეგად, საბჭომ მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა:

1. საქართველოს კანონის "ადვოკატთა შესახებ" მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადებები: **გიორგი გაგუა (შეჩერება), ლევან კვირკვაია (შეჩერება), ანა მიქელაძე, კახაბერ კოღუაშვილი, ანა გაგოიძე, ჭაღოშვილი, მიხეილ ჭიღლაძე, მაკა მეტრეველი, თამარი ხურციძე, ლევან დუნდუა, რუსუდან მაისურაძე, მაგდა სეფიაშვილი, ლევან ვეფხვაძე, ღობერტი შუშანი, ნესტან ფიფია, მარიამ ფარნაოზე, გიორგი ჩაფიძე, მათე ჩაფიჩაძე, ქეთევან აბაშიძე, ნინო ბერიკაშვილი, ირაკლი მიხელიძე.** ასევე, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე ხელახალი გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი ყველა უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები : **ნათია შარიფაშვილი, გიორგი ნოზაძე, გიორგი საყვარელიძე, ხატია ფიფია, ამირან არღვლიანი, ზინაიდა ბაქრაძე, ინგა ჯანიაშვილი.**

ა). საქართველოს კანონის "ადვოკატთა შესახებ" მე-10 მუხლის, 1 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას **გიორგი გაგუას** და **ლევან კვირკვაიას** განცხადებები ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ და ამავე კანონის, **21[2]** მუხლის, მე-4 პუნქტის (პირს, რომელსაც ამ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუქნტის შესაბამისად არ შეუძლია გახდეს ადვოკატი და აკმაყოფილებს მე-10 მუხლის პირველი პუქნტის მოთხოვნებს, უფლება აქვს მიმართოს ადვოკატთა ასოციაციის საბჭოს გაწევრიანების თაობაზე. ასეთ პირს გაწევრიანებისთანავე შეუჩერდება წევრობა) თანახმად და მათი პირადი განცხადებებს საფუძველზე, გაწევრიანებისთანავე შეუჩერდეთ წევრობა

2. საკურატორო მიმართულებები და მათი ხელმძღვანელები დამტკიცებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი სახით:

1. ერთიანი სია/ბიუროების რეესტრი/ადვოკატთა-სტაჟიორთა საქმეები – ხელმძღვანელი ზაზა ხატიაშვილი;
2. საერთაშორისო ურთიერთობები/არასამთავრობო სექტორი/კოალიცია – ხელმძღვანელი დავით ასათიანი;
3. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები/განგრძობადი იურიდიული განათლება/სასწავლო ცენტრი/დონორები – ხელმძღვანელი ირაკლი ყანდაშვილი;

4. სისხლის სამართლის კომიტეტი – თავმჯდომარე ზურაბ როსტიაშვილი, თანათავმჯდომარე – ირმა ჭკადუა, თანათავმჯდომარე – გიორგი თევზაძე, თანათავმჯდომარე – დათუნა მოდებაძე;
5. პერიოდული ჟურნალი – სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე – როინ მიგრიაული, მთავარი რედაქტორი – ეკა ხიმშიაშვილი;
6. სამოქალაქო სამართლის კომიტეტი – ხელმძღვანელი როინ მიგრიაული;
7. ადმინისტრაციულ საქმეთა კომისია – თავმჯდომარე – ცისმარი ონიანი, თანათავმჯდომარე – მამუკა ნოზაძე;
8. კომერციული სამართლის კომისია – თავმჯდომარე დავით ლანჩავა;
9. ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისია – თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, თანათავმჯდომარე – მამუკა ნოზაძე, თანათავმჯდომარე – გიორგი თევზაძე, თანათავმჯდომარე – ელზა ლეშკაშელი;

10. უფასო იურიდიული დახმარება – თავმჯდომარე გიორგი თევზაძე;
11. საპარლამენტო მდივანი – დავით ლანჩავა;
12. საბიუჯეტო დაგეგმვა/ფინანსები/ბუღალტერია/ანგარიშგება – გელა არსენაშვილი;
13. ადმინისტრაცია/აპარატი/- HR – თავმჯდომარე – დავით ასათიანი, თანათავმჯდომარე – ზაზა ხატიაშვილი, თანათავმჯდომარე – ინგა ნებიერიძე;
14. რეგიონული განვითარება – თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი;
15. ახალგაზრდა და პროფესიაში ახლად შემოსული ადვოკატების საკითხი – თავმჯდომარე – ირაკლი ყანდაშვილი.
16. სოციალური დაცვა/წამახალისებელი და კულტურულ-სპორტული ღონისძიებები/ჯანმრთელობის დაზღვევა – თავმჯდომარე – ბონდო ალასანია, თანათავმჯდომარე– ზაზა ხატიაშვილი.

3. საქართველოს კანონის "ადვოკატთა შესახებ" 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, **რუსუდან მაღრაძეს** უარი ეთქვას ასოციაციაში გაწევრიანებაზე. აღნიშნულ პირს ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ;

4. შევიდეს ცვლილება ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ქცევისა და გასაჩივრების წესის, 24-ე მუხლის, 24.2 პუნქტში და მოიხსნას ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების გასაჩივრების ბარიერი. 2013 წლის 4,5.6 დეკემბერს ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილე გასაჩივრების მსურველი აპლიკანტებისთვის, გასაჩივრების ვადა გაგრძელდეს 2013 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით;

5. ადვოკატთა სოციალური დაცვის ფონდის გამგეობის შემადგენლობა დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით: **ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), ცისმარი ონიანი, ინგა ნებიერიძე, გელა არსენაშვილი და მამუკა ნოზაძე.**

6. საქართველოს კანონის "ადვოკატთა შესახებ", **21²** მუხლის, 1 პუნქტის, "ა" ქვეპუნქტის თანახმად, **გულნაზ ზუხბაიას, ნინო ესანჯიას, ალუდა საღინაძის, ირინა დევსურაშვილის, ლია კოდელაშვილის, ბესიკ კუპრაშვილის, ბესარიონ აბაშიძის** განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ დაკმაყოფილდეს.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ) მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ზაზა ხატიაშვილი

საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე